კლდე

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

შაბათი, თებერვლის 8. (იანვარის 25). 1919 წელი.

№ 27.

ფასი 50 კაპ.

ყოველ-დღიური საღამო გაზეთი

გამოდის **გრიგოლ ვეშაპელის** რედაქტორობით

გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი, ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სასახლის ქ. № 5

ტელეფონი № 18—31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ მებრძოლთ!

ქართველთა ლეგიონი

იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

მამულიშვილნო, ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა!

მოიყარეთ თაგი ლეგიონის დროშის ქვეშ!

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა.

მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

ლეგიონის სარდალი **ლეო კერესელიძე.**

ქართველნო,

ახლოვდება დამფუძნებელ კრების არჩევნები.

ყოველი ქართველი, ვალდებულია მხურვალე და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

ჩაეწერეთ სიებში, თუ გამოტოვებული ხართ.

დაიცავით არჩევნებში თქვენი უფლებები.

დაიცავით თავისუფლება და კანონიერება.

საქართველოს ეროვნული პარტიის საარჩევნო პლატფორმა.

მამულიშვილნო!

ეროვნული პარტიის ლოზუნგია „საქართველო ჯერ ქართველებისათვის"!

საქართველომ უნდა მოიპოვოს თავისი ისტორიული საზღვრები.

ეროვნული პარტია იცავს მტკიცედ კერძო საკუთრების ხელუხლებლობას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

——

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მიწის საკითხი გარდაწყდეს სახელმწიფო, და არა ყაჩაღური წესით.

——

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნამუსის ჩამორთმევა მოხდეს ხელოვნურად ისეთ შემთხვევაში, როცა ეს საჭიროა სახელმწიფო მოსაზრებით (ქართველ გლეხობის დასახლებისათვის).

——

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნორმა მიწის მფლობელობისა გადიდებულ იქმნას ყოველგან ადგილობრივი პირობების მიხედვით

——

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ჩაჭართმეული მიწაში მამულის პატრონს მიეცეს მისი ფასი.

——

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნებადართული იქმნას მიწების კერძოდ ყიდვა-გაყიდვა (ქართველებისთვის)

——

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ უცხოელებს (ოსებს სომხებს, რუსებს) აეკრძალოს მიწის შეძენა საქართველოში სანამ არ დაკმაყოფილდება ქართველი გლეხობის საჭიროება (თავდაპირველად მიწა უნდა მიეცეს ჯარში ნამსახურ ქართველებს)

——

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მოსპობილ იქნას მონოპოლისტებისა და სპეკულიანტების პრივილეგიები და ქართველ ვაჭარ-მრეწველს საშუალება მიეცეს წესიერად აწარმოოს თავისი საქმე.

——

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაუყონებლივ მოხდეს სრული ნაციონალიზაცია ყველა დაწესებულებათა (თავდაპირველად თფილისის ქალაქის თვითმართველობისა) და თანამდებობანი, რომელიც უცხოელებს აქვთ დაკავებული, გადაეცეს ქართველ მოხელეებს.

——

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ საქართველოს დასაცავად მოეწყოს ერთი, მთლიანი სამხედრო ძალა—მუდმივ რეგულიარული ჯარი; ყოველივე სხვა გვარი პარტიული რაზმები და გვარდია უნდა გაუქმდეს.

——

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაცული იქნას ეკლესიისა და სამღვდელოების ქონებრივი დოვლათი და მთავრობა მეტის პატივის ცემით მოეპყრა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს.

——

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც ერთ სოციალისტურ პარტიას: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ფედერალისტები, რევოლიუციონერები ყველა ბოლშევიკური ჯურის ხალხია და სულ სხვისი საკუთრების წართმევაზე ფიქრობენ; ჯერ სოფელს მორჩებიან, მერმე ქალაქის მესაკუთრეს მისდგებიან!

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც № 2-ს „ეროვნულ-დემოკრატებს" (გაზეთ „საქართველოს") არც რადიკალ-დემოკრატებს და არც უპარტიო დამოუკიდებლებს ესენი ყველა მენშევიკების მაჩახჩალა პარტიებია, ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამა მათ არა სწამთ და ამიტომაც ხელი მოაწერეს ნ. ხომერიკის მიწის კანონებს.

მამულიშვილნო. მხოლოდ, „საქართველოს ეროვნული პარტია„ დაიცავს მტკიცედ, ისე როგორც „კლდე" სახელმწიფოებრივ პროგრამას.

სია № 8

„საქართველოს ეროვნულ პარტიის" კანდიდატები

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

1. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე; პარლამენტის წევრი, გაზეთ „კლდის" რედაქტორი.
2. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; განათლების კომის. წევრი.
3. **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.
4. **გაბაშვილი** რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი, გზათა კომისიის წევრი.
5. **მაჩაბელი** მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი, აგრარულ კომისიის წევრი.
6. **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე; ექიმი, პარლამენტის ყოფ. წევრი.
7. **ცაგარელი** ალექსანდრე ანტონის ძე; პროფესორი.
8. **სარაჯიშვილი** ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.
9. **გაბაშვილი** ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერი-ქიმიკოსი, **კომერსანტი**.
10. **ორბელიანი** გიორგი ილიას ძე; გენერალი.
11. **ჯანდიერი** ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე; ექიმი.
12. **ელიაშვილი** ივანე სპირიდონის ძე; ექიმი.
13. **კაპანელი** (ჭანტურაია) კონსტანტინე გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
14. **ეკალაძე** ია. (ცინცაძე) იაკობ თომას ძე; ლიტერატორი.
15. **ღოლობერიძე** დავით სიმონის ძე; ლიტერატორი.
16. **კელენჯერიძე** დავით ბესარიონის ძე;
17. **ციციშვილი** ივანე გიორგის ძე; მიწის მესაკუთრეთა „**კავშირის**" **წევრი**.
18. **იშხნელი** მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.
19. **ღუდუშაური** ბართლომე; მღვდელი.
20. **ივანიცკი** ტარასი; დეკანოზი.
21. **მამრაძე** გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი
22. **სიდამონ-ერისთავი** ვალერიან; მხატვარი.
23. **ნიჟარაძე** რაფაელ; პედაგოგი.
24. **კიკაბიძე** ლადო სპირიდონის ძე; სტუდენტი.
25. **ქასრაშვილი** კსენეფორე ნიკოლოზის ძე; მეურნე.

თფილისი, თებერვლის 8

საერთაშორისო მიმოხილვა.

„წყალნი წავლენ და წამოვლენ ქვიშანი დარჩებიანო".

გარეშე მტრისაგან დამარცხება და რევოლიუცია დღეს სინონიმებად გადაიქცა და იმიტომ თვით შინაარსი ამ უკანასკნელისა არსებითად შეიცვალა. თუ წინად რევოლიუცია მოასწავებდა შინაგან ძალთა განვითარების შედეგს, ეხლა იგი ყველა ძალების სისუსტის მაჩვენებელია მხოლოდ, ამიტომ არის, რომ უდიდეს ხელმწიფოებში, როგორიც არის ბარბაროსული რუსეთი და იმპერიალისტური გერმანია, —რევოლიუციამ მიიღო არა მწყობრი ხასიათი ცხოვრების პირობათა ძირიანად გარდაქმნისა, არამედ ანარქიის და ქაოსის ელფერი. ამავე დროს გამარჯვებული ქვეყნებში, იმის და მიუხედავად, რომ იგინი უფრო ლიბერალური და დემოკრატიული გარეგნობისანი იყვნენ რევოლიუციამ თავი არ იჩინა, თუმცა თეორიულად, შინაგან ძალთა განვითარებას და დემოკრატიის გაძლიერებას უნდა მოჰყოლოდა იქ უფრო მძლავრი ცვლილებანი, რადგან გადაჭრით შეიძლება ითქვას რომ ინგლისში გაცილებით უფრო ძლიერია

,,ბოგანოთა'' და ,,ბატონთა'' გასხვავება და საფრანგეთში ,,უსაქმურ'' რანტიესა და ,,მაშვრალ'' პროლეტარიატისა და გლეხკაცის შორის.

მაშასადამე თეორია რევოლიუციისა, როგორც შინაგან ძალთა დაპირისპირებისა და ბრძოლისა სრულიად დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს.

ფაქტიურად საერთაშორისო ჰორიზონტზედ ხდება ძველებური, ცნობილი დაპირისპირება ერებისა, და ის, ვისი ეროვნული შეგნება უფრო ძლიერია, ვისაც ფიზიკური ძალა შესუსტებული არ არის შინაგანი უთანხმოებით ის უფრო გამარჯვებული გამოდის. ისტორია მეორდება ინგლისი—საფრანგეთის დემოკრატია და პროლეტარიატი ისევე თავზარსა სცემს და ბედსა სწყვეტს სხვა ერთა პროლეტარიატისას, როგორც გერმანიის იმპერიალისტები ამსხვრევდნენ სხვა ერთა იმპერიებსაც და ,,ხალხთა მისწრაფებასაც''. იცვლება მხოლოდ ფორმა, იცვლებიან სახელები და შინაარსი ისევ ისა რჩება. იცვლებიან სიტყვები და საქმენი იგივენი არიან იმდენად, რომ ხშირად არ იცი ვისთანა გაქვს საქმე: პრეზიდენტთან თუ იპერატორთან, დემოკრატიის ბელათან თუ ძველებურ პრინცთან.

აქედან შეიძლება ის დავასკნათ, რომ ჩვენი, პატარა ქვეყნის, ყოფაქცევაც უნდა შეუფარდოთ ამ მდგომარეობას და არ მოვატყუებინოთ თავი არც საერთაშორისო სიცრუეს და არც ჩვენებურ სიბეცეს. ჩვენს დემოკრატიასა ჰგონია, რომ საერთაშორისო ასპარეზზედ რაღაცა ახალი, ისეთი არა ჩვეულებრივი ხდება, რომ შესაძლებელია პატარა ერთათვის ,,კარგი რამ გამოიჭედოს და ამიტომ ,,სულ ნაკლებ ყურადღებას აქცევს სწორედ იმ შინაგან ძალთა გაძლიერებას, რაზედაც ვითომ თეორიულად ამაგრებს მაელ თვის ძლიერებას. დემოკრატიის დარაზმვა მარტო იმაში კი არ უნდა იხატებოდეს, რომ ბიულეტენი № 1 ჩააგდოს ხალხმა საარჩევნო ყუთებში, არამედ იმაშიც უმთავრესად, რომ ფარგალი თვისი „ბატონობის'', გაშალოს ე. ი. თვისი სამშობლოს საზღვრები მტკიცედ დაიცვას.... თუნდაც ,,კონტრევოლიუციის'' წინააღმდეგობის სახელით, ვინაიდან საქმე სახელში ხომ არ არის.

და აი, თუ ამ თვალსაზრისით შეხედავთ ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობს, უნდა ვსთქვათ რომ მეტად სუსტნი ვართ. და დღეს თუ საბოლოდ არა ვართ გასრესილნი, მხოლოდ იმიტომ რომ არეულია მთელი ქვეყანაც ჩვენს გარშემო. მაგრამ ერთი დაქროლებაა საკმარისი რომ სამუდამოდ ავიგავნეთ პირისაგან ქვეყნისა.

სანამ აქ გერმანელები იყვნენ და თანაგრძნობას გვიცხადებდნენ, რამდენადაც ეს მათ ინტერესებს შეეხამებოდა, ჩვენ არ ამოვწურეთ ყველა ძალღონე რომ ჩვენი ინტერესებიც დაგვეცა და გაგვემტკიცებინა. დავკარგეთ ძვირფასი ექვსი თვე, რომელიც სამშობლოს მაგიერ სოციალ-დემოკრატიის პარტიულ ინტერესებს შეეწირა. და ვკარგავთ ამავე მიზნით შემდეგ ექვს თვეს. საჭირო კია დავანებოთ თავი გეგეჭკორისებურ ლამენტაციებს, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ომები, რომ ჩვენი ბედი განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოთ ხელშია, რომ საერთაშორისო კონფერენცია და ხალხთა ლიგა იქნება ჩვენი ლალა და სხვა, რასაც ყოველდღე მწყალობელი დედაბერივით წუწუნებს გაზ. ,,ერთობა''. უნდა მკაფიოდ გვახსოვდეს რომ დიდსახელმწიფოები იმდენად გაგვიწევენ ანგარიშს, რამდენადაც ჩვენს ძალასა და მდგომარეობას დაინახვენ და წინა-სწორობისათვის სათვალავში ჩასაგდებ სიმძიმედ დაგვსახვენ, თორემ თუ ისეთი სუსტნი და ლაჩარნი ვიქნებით, რომ სოჭხისთანა, რიც და მაზე პატარა პროვინციების ომს გამოგვიცხადებენ და დაგვჯაბნიან,—ჩვენ გამოხრული ძვალივით იმ ძაღლს მიგვიგდებენ, რომელსაც უფრო დალეული ექნება ლაბლები და მაშინ გააკვირვოს ქვეყანა ჩვენმა დემოკრატიამ თვისი გამოფიტული სიტყვებით: ჩვენ ძმობა სოლიდარობა გვინდა ყველა ერებთან, ჩვენ სიმშვიდეს მოყვარული ვართო. ,,ვისაც მშვიდობიანობა სურს, ის ომისთვის მუდამ მზად უნდა იყოს''—ეს უკვდავი იდეა ერთხელ ,,ერთობის'' კევიდეჭია ფურცლებზედაც კი ეწერა. და ბრმა უნდა იყოს ადამიანი ან შეგნებული მოღალატე, რომ არ ხედავდეს დღესა, რომ სიტყვები, როგოც წყალნი მიდიან და მოდიან და საქმენი და აზრი ცხოვრებისა ქვიშასავით იგივეს ილეკავს. და თუ ჩვენ სოციალ-დემოკრატიას ვერ შეუცვლია, სიტყვები,—ყოფაქცევა შეიცვალოს ისე, რომ საერთაშორისო ასპარეზზედ ჩვენ გამოვიდეთ როგორც ერის ღირსების შეგნებული დამცველნი და არა ლაჩარი ფინია, რომელიც დიდი დღების ხმაზედ იწკავწკავებს მარტო.

ჩვენი პროვინციები და ჩვენი პოლიტიკა.

ის-რაც ხდებოდა ამ ბოლო წელიწადებში ჩვენს განაპირა პროვინციებში და რაც ხდება დღეს ძველ ჯავახეთში დაპეჯითებით მოითხოვენ ჩვენგან იმ პოლიტიკის გადასინჯვას, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი მთავრობა ამ განაპირა პროვინციებში. გენ. მაზნიაშვილის დეპეშა, ჩვენი ჯარის გამარჯვება და გაქრობა ამბოხებისა სრულიადაც არ აქარწყლებს და არ სპობს ამ საკითხის სიმწვავეს. პირიქით სწორეთ გამარჯვებულთ გვმართებს და გვაქს იმის შეძლება, რომ დინჯათ და დამშვიდებით გადავსინჯოთ მთელი წარსული ჩვენი მოქმედება და თუ შეგვწევს სახელმწიფოებრივი შეგნება და თავგანწირვა უარი ვთქვათ და აღარ გავიმეორეთ შემცდარი ნაბიჯები. დღიდამ რევოლუციის აშლისა სოციალ-დემოკრატია აწარმოებდა ამ პროვინციებში პარტიულს, კლასობრივს პოლიტიკას და თავის გეგომონიის განმტკიცებას ამყარებდა რევოლუციონურ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ორგანიზაციებზე.

ჩვენმა მთავრობამ, მთავრობამ ეროვნული სახელმწიფოსი, მთლათ იანდერძა ეს კლასობრივი პოლიტიკა და ოდნავი კორექტივების და შესწორების შეუტანელად მიმართავს მას დღესაც. ყველგან, აფხაზეთში თუ ჯავახეთში, მთავრობის პოლიტიკა ცდილობდა მოგვემხრო ესა თუ ის ნაწილი საზოგადოებისა და გაგვეთიშა მეორე. ანგარიშს უწევდენ მხოლოდ კლასობრივს მოთხოვნილებას და ამ კლასობრივი ინტერესების ერთგვარობაზე უნდოდათ აეშენებიანათ მძლავრი შენობა მთლიანი საქართველოსი.

ამ პროვინციებში პირველადვე, როცა კი მოგვეცა საშუალება დაარსებულ იქმნა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. მაგრამ, როდესაც ამ ორგანიზაციებმა გათიშვის მეტი არაფერი შეიტანეს ჩვენსა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის, მაშინ მესამე ორგანიზაციას გლეხთა საბჭოებს მიმართეს. გავიხსენოთ გინდ აფხაზეთი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ, საცა უმთავრესათ სოციალისტური ქართველობა იყო მთლათ გათიშა აფხაზობა, ვინაიდამ მათ თვის საზოგადოებრივ შემადგენლობაში არ აღმოაჩნდათ არც მუშები (ქალაქისა) და არც ჯარისკაცები.

ეს პირველი დამრღვევი საწამლავი გახლდათ, რომელიც კი გადაესხა საქართველოს მთლიან შენობას.

ვინც იყო იმ დროს სოხუმში, იმან იცის საქმე.

დიდი წინასწარი მუშაობის შემდეგ ჩვენმა სოციალ-დემოკრატთა აგენტებმა მოაწყეს გლეხთა ყრილობა და მიიღებინეს აქ დაწერილი რეზოლიუცია.

კავშირათ თვისა და აფხაზ გლეხთა შორის აგრარული რეფორმა დიიდეს. მაგრამ მეტათ სუსტი გამოჩნდა ასეთი კავშირი. როდესაც კი გამოჩნდა ძალა, რომელიც მეტს მოიხიბლავს კლასობრივს ბედნიერებას ჰპირდებოდა, ძალა ბოლშევიკურსასწორმა იქით გადიხარა ადვილად დაირღვა ,,პროგრამმა'' და ერთხელ გადახრილმა სასწორმა ცუდის მომასწავებელი ქანობა დაიწყო, ვინც კი უნდა შემდგარიყო მაზედ, ოსმალო იქნებოდა ის თუ ასეევ იყო იჯარაში. რუსი მოხალისე. ასევე ხდება ჯავახეთში. ჯავახეთში საქართველოს ეროვნული ძალა შევიდა პირველად.

შემდეგ გადაიარა პარტიულმა, სოციალ-დემოკრატიულმა მიმდინარეობამ და შობის წინადღეებში მოვაწყეთ გლეხთა ყრილობა ახალქალაქში, აქაური კაცის თავჯდომარეობით და გამოვატანიეთ ამ დაწერილი რეზოლუციები.

გვახსოვს ჩვენს გაზეთებში ამ ფაქტს ისე უყურებდენ, როგორც ჩვენი საქმის სრულს გამარჯვებას. ჩვენგან ,,საქართველოელნიც'' კი ჩაითრია ამ ამბავმა და ისინიც ,,სოციალიზმით'' აპირობდენ და აპირობენ დღესაც ამ პროვინციების დაპყრობას. აი დღესაც ჯავახეთში გლეხთა ყრილობა გახლავთ. ყრილობას თავჯდომარეობს სოც. დემ. ექვთიმე მიქელაძე—კაცი, რომელმაც თავისი სოციალ-დემოკრატიული სკოლა ბაქოს ქარხნებში მიიღო და ისეთივე გამომხატველი გახლავთ იქაური ინტერესებისა, როგორც ყოველივე სოციალ-დემოკრატი. სხვა მომხსენებელათ გახლავთ ბ -რუხაძე, ჩვენი მთავრობის საგანგებო რწმუნებული, რამიშვილი ტერსტეპანოვი, ჩხენკელი და ანანიაშვილი—ყველანი მთავრობის მოხელენი. ესენი არიან მომხსენებელნი, ესენი არიან მოკამათენი, ესენი არიან რეზოლიუციის შემტანნი და მისი გამომტანნიც.

იღებს მონაწილეობას ,,ამხანაგი დავიდიანციც'', რომლის მხურვალე სიტყვას საქართველოს რესპუბლიკის ღვაწლზედ სომხის გლეხობა თუ რამე ,,კეცე ვარასთან''—ის (გაუმარჯოს საქართველოს) ძახილით ეგებება. ეს გახლავთ გლეხთა ყრილობა და ჩვენში იგი ისეთ ოპტიმიზმს ვერ გამოიწვევს, როგორსაც იწვევს არამც თუ მარტო სოციალისტურ პრესაში, არამედ ,,საქართველოშიაც'' (№ 28—მოწინავე.) ჩვენ ერთათ ყოფნის დროს ,,საქართველო'' სხვანაირადა ფიქრობდა'' აგრარულ რეფორმის დიდს შემომკრებ ძალაზედ დაქაქსულ საქართველოს პროვინციის შემოკრებისათვის'' და სხვანაირადა ლაპარაკობდა მისი წორმომადგენელი ბ-ნი გვაზავა ეროვნულ საბჭოს ყრილობაზედ ამიერ კავკასიისათვის კონსტიტუციის შემუშავების დროს. ჩვენ კვლავ ძველებურადა ვფიქრობთ.

პარტიული, კლასობრივი გზა საქართველოს ვერ გაამთელებს. თუ სოციალ-დემოკრატიამ სხვა გზა არ იცოდა, გარდა კლასობრივი კავშირისა და პროლეტარიატთა კავშირს უქმედებარებდა და უქმედებარებს ისეთ ცხოველ მყოფელ ფაქტორს, როგორც ეროვნული სახელმწიფოებია და იგი დღესაც ამ გზას ადგია, ეროვნული სახელმწიფოს მთავრობა ამ გზას ვერ დაადგება და ვერც ერთი ეროვნული პარტია ამას ვერ გაიზიარებს. საქართველოს დაქსაქსული პროვინციების აღსადგენათ მახინჯია ეს გზა. თუ გინდათ ცენტრალიზმის გზითა იაროთ, მაშინ თავი დაანებეთ ასეთ კრიმანჭულებს და შესაფერი სისასტიკე და პოლიტიკა გამოიჩინეთ, თუ ადგილობრივი ინიციატივა გინდათ აამუშაოთ და ადგილობრივ საზოგადოებრივ აზრს დაემყაროთ—მაშინ რა შუაშია ან ,,გენერალ-გუბერნატორების'' თავჯდომარეობა ან აქაური რეზოლიუციები, ან ,,კეცე ვარასთან'', დავიდიანციასა, რომელიც ვინ იცის რას იძახდა ამ ორი თვის წინათ.!

რამდენჯერ წავიტეხეთ კისერი ამ გზით. ჩვენი გზა ცოტა სხვა იყო. ასეთი გათიშვა იმ ძალებისა, რომელთაც კიდევ შერჩენიათ ჩვენი კულტურის და ტრადიციის ნიშანწყალი-დანაშაულია. გვაგონდება აფხაზეთის საუკეთესო წარმომადგენელის ბ. პეტრე ანჩიბაძის სიტყვები. ,,გლეხი შეიძლება დაინტერესოთ მიწით, მაგრამ რას იზამთ მაშინ, რ[illegible] მეტი მიწის მიცემ[illegible] ბ-ნებო, განაგრძო მან მოვდევთ საქართველოს არა პროგრამის რომელიმე ეკონომიურ მუხლისათვის, არამედ მოვდევთ ჩვენ კულტურას, ჩვენს ტრადიციას, ჩვენ წარსულს და ჩვენს მომავალსაო''.

და ჩვენ გვწამს კვლავ, რომ სწორედ ამ ეროვნული ტრადიციისა და საერთო კულტურული ძაფების აღდგენა არის ერთა უმთავრესი ძალა საქართველოს გამთელებისა. და როდესაც კი დავდგომივართ ამ გზას-გაგვიმარჯვია. ამ გზით იყო, რომ აფხაზეთი ავტოკეფალობის გამოცხადების პირველ ხანებში, როდესაც იქ ჯერ კიდევ რუსის ღვდელი და რუსის ფული ტრიალებდა და აქედამ კი ბოლშევიკთა ემელონები არ გახვეტილიყვენ, არ განუდგა საქართველოს ეკლესიას.

ამ გზით გახლავთ ერთი ბათალიონით ორი მაზრა რომ დაიჭირა სარდალმა გენ. მაყაშვილმა, რომელსაც ჩვენ მთავრობის ,,არა პარტიულ-სოციალისტური'' დეკრეტი უძღოდა წინ. და ეს გზი გახლავთ, რომელმაც აიძულა ჩვენი სოციალ-დემოკრატია ამ პროვინციებიდამ თავის სიაში მეთექვსმეტე, მეოცდაცხრა და ორმოცდა მესამე კანდიდატებათ შეუტანიათ გვირგვინოსანი თავადების და ,,სანჯაფ-ბეგების'' წარმომადგენელნი ისინი-ვისაც სწორედ ეროვნული ტრადიცია და კულტურა იზიდავს აქეთ. პარტიულის, კლასობრივის გზით იქნებ რეზოლუციაც გამოიტანოთ, ტაშიც დაიმსახუროთ, ნავთისა და შაქრის დარიგებით იქნებ ხმებიც მიიღოთ ყუთებში—მაგრამ ამით საქართველო ვერ გამთელდება. მას სჭირია საღი ეროვნული პოლიტიკა.

საქართველოს ამბები.

პარტიული კრება.

საქართველოს ეროვნულ პარტიის ვერის რაიონის ბიურო ამით აუწყებს პარტიის წევრებს და თანამგრძნობთ რომ კვირას 9 თებერვალს საღამოს 5 საათზე დანიშნულია კრება ოლღას ქ. № 52 მაჩაბლის სახლში კრებაზე გააკეთებენ მოხსენებას დამფუძნებელ კრებისა და არჩევნების შესახებ მთავარ კომიტეტის წევრები.

პოლიტეხნიკუმის დახმარებაზე უარის თქმა.

მთავრობის მიერ უარყოფილ იქნა თფილისის პოლიტეხნიკუმის შუამდგომლობა დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ინგლისელთა მთავარ სარდლის წასვლა ყარსში.

კავკასიაში მყოფ ინგლისურ ჯარების მთავარსარდალი უოკერი ყარსში გაემგზარა.

ინგლისური ჯარის გაგზავნა ყარსში.

გუშინ ყარსში გაიგზავნა ინგლისური ჯარის განსაკუთრებული რაზმი.

ბრძოლა სოჩის საზღვარზე.

თფილისში კერძო ცნობები მოვიდა, რომ სოჩის ოლქის საზღვარს დაესხნენ ჩრდილოეთიდან. საზღვართან ამ ჟამათ ბრძოლა სწარმოებს.

საექიმო პერსონალის გაფიცვა

არამიანცის სახელობის სახადიანთა საავადმყოფოში ავადმყოფთა მომვლელებმა მოითხოვეს ჯამაგირის მომატება 1000 მანეთამდე. რადგანაც ქალაქის გამგეობამ დღემდე გადაწყვეტილი პასუხი არ გასცა მათ ხსენებულ სავადმყოფოს საექიმო პერსონალმა გადასწყიტა გაიფიცოს.

ახალციხის ომი.

სამხედრო მინისტრს გენერალ მაზნიაშვილისაგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა:

,,დღეს, 5 თებერვალს დავიწყე ერთიანი შეტევა და 16 საათის განმავლობაში ბანდებისაგან შემდეგი სოფლები გავსწმინდე! ჩხართი, ჩიხრა, მიქელ წმინდა, ჩორგუთი, ფარცხა და ჩიხელი. ხვალ მოქმედებას განვაგრძობ.

საპატიმროების რევიზია

ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ ცხადდება, რომ იუსტიციის მინისტრის წინადადებით მოეწყო კომისია თფილისის № 1 და № 2 საპატიმროს და ავჭალის ახალ-ახალშენის მცირე წლოვან დამნაშავეთა კოლონიის სარევიზიოთ. ყველა იმ პირთ, რომელთაც საჩივარი აქვთ ან რაიმე ცნობა ბოროტ-მოქმედების შესახებ, შეუძლიათ მიმართონ, როგორც წერილობით, აგრეთვე ზეპირად, დასახელებულ კომისიას, რომელიც მოთავსებულია ყოფილ მესამე სამოქალაქო დეპარტამენტში, საპყრობილეებში კი, სარევიზიო კომისიის მორიგ წევრებს ვ. ა. ნეკოპოიჩეკის და მ. ლ. რელკეს № 1 საპყრობილეში სამშაბათობით 12—1 საათამდე, № 2 საპყრობილეში ხუთშაბათობით 12—1 საათამდე.

უცხოეთის ამბები

ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

იაპონია და რუსეთის სამხრეთი.

ტოკიოდან რადიოთი იუწყებიან, რომ იაპონია დაინტერესებულია რუსეთის სამხრეთ ნაწილთან დამოუკიდებელ განწყობილებაში. როგორც კი გაიხსნება სავაჭრო გზები, იგი ამ მხრივ საჭირო მუშაობას დაიწყებს.

ჩეხო-სლოვაკები და დიდი სახელმწიფოები

ჩეხო სლოვაკთა დელეგატებმა კრამაჟმა და ბენეხმა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთა კომიტეტს ოთხშაბათს გააცნეს თავის ქვეყნების მოთხოვნილებანი. ბენესმა გააკეთა ისტორიული მიმოხილვა ჩეხო-სლავაკიისა. მან აღნიშნა, რომ მიუხედავათ გერმანელთა და ჰუნგრელთა მხრით დევნა-შევიწროებისა ეს ხალხი სათავეში ჩაუდგა ავსტრიის სლავიანურ ერებს ინტელექტუალურად, ეკონომიურათ და სოციალურათ: დასასრულ დელეგატმა ითხოვა: 1) ახალი რესპუბლიკის ტერიტორიაში შევიდეს; ბოჰემია, მრავია, სილეზია სლოვაკია, ჰუნგრეთის ის ნაწილი, სადაც რუსინები სცხოვრობენ, გლაზეტის და დემალაბორის ოლქები და დასასრულ... (გაუგებარია). ადგილები, სადაც ჩეხო სლოვაკები სცხოვრებენ. 2) დამყარდეს საერთო შორის საზღვარი ჩეგთ—სლოვაკებსა და სამხრეთის სლავიანების შორის. 3) დიდი მდინარეები ებრა, დუნაი და ვისლა, აგრეთვე რკინის გზები პრესპურგ-ტრესტი, პრესბურგ-ფიუმე, პრაგაერფურტი, ნიურენბურგ-სტრასბურგი ინტერნაციონალურად გამოცხადდეს; 4) ვენაში მცხოვრებ ჩეხო-სლავაკთა. რომელნიც ქალაქის მცხოვრებთა მეოთხედ ნაწილს შეადგენენ და საქსონიაში მცხოვრებ სერბიელთა საკითხი გადასწყდეს შეთანხმების სახელმწიფოთა პრინციპების თანახმათ.

პოტსდამის საბჭო.

როცა გამოაშკარავდა 1914 წ. 5 თებერვალს პოტსდამში მოწვეული საბჭოს ამბავი ვოლფის სააგენტომ და გერმანიის რადიოსადგურმა დაგზავნეს დეპეშები, სადაც უარყოფდენ ამ ამბავს. საფრანგეთის რადიოდეპეშები აღნიშნავდა, რომ ამ უარყოფას მიზნათ ქონდა თვალი აეხვია საზოგადოებისთვის. შესაძლოა მან გავლენა იქონიოს მათ ვინც არ იცნობს საქმეს.

მაგრამ ვინც საქმეს გაცნობილია, ეს უარყოფა კიდევ ერთხელ ადასტურებს ფაქტს, ნაუენმა, რომელიც დაიჭირეს თავის ტყუილებში, პასუხათ არაფერი სთქვა. სამი კვირის შემდეგ, 1918 წლის 15 მაის, საფრანგეთის რადიოდეპეშებმა აღნიშნეს ეს სიჩუმე, მაგრამ ნაუენი კვლავ სდუმდა, საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ პოტსდამის ამბის შესახებ ბერლინში სიმართლე ილაპარაკა ფრიდრიხ ადლერმა. ოდესმე დაწვრილებით გამოირკვევა თუ რა მოხდა პოტსდამის საბჭოში. რომელმაც უმაგალითო დანაშაულობა ჩაიდინა.

არჩევნების გარშემო.

ეროვნულ პარტიის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი.

საქართველოს ეროვნულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი მოთავსებულია გაზ. „სალი კლდის“ რედაქციის ბინაზე სასახლის ქუჩა № 5. ყველა პარტიულ ორგანიზაციებს საჭირო ცნობების და საარჩევნო ლიტერატურის მიღება შეუძლიათ ხსენებულ საარჩევნო კომისიისაგან.

იქვე შეუძლიათ მიიღონ საჭირო ცნობები, განმარტებები და ლიტერატურა პარტიის ყველა წევრთ და თანამგრძნობთ. კომისიის წევრთა მორიგეობა ყოველ დღეა, დილის 10—2 საათ. და საღამოს 5—7 ს.

არჩევნები კარს მოგვადგა თითო წუთი ძვირფასია არ დაჰკარგოთ დრო იმუშავეთ განუწყვეტლივ ჰბეჭდეთ პლაკატები: ფურცლები, მოწოდებანი აფიშები, ნუ შეგაკრთობთ მომუშავეთა სიცოტავე. შემოიკრიბეთ გარს ყველა ამხანაგი ქალი კაცი, ახალგაზრდა, მასწავლებელი და მოსწავლე. ვინც პირადი საქმის გამო დააკლდება პარტიულ მუშაობას, მას არ ჰყვარებია საქართველო მხნეობა და მოქმედება. ბრძოლა და გამარჯვება. ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და იმ პირთ, რომელთა კომიტეტისაგან მიღებული აქვს რაიმე დავალება, სწრაფად აცნობონ ცენტრალურ კომიტეტს საქმის ვითარება, და ყოველი საყურადღებო ცნობა, რომ საარჩევნო კომპანიაში შესაძლებელი იქნეს ყველა პარტიულ დაწესებულებათა მტკიცე ორგანიზაციაში შეკვრა.

1) პროპაგანდისტები ქუთაისის გუბერნიაში მოითხოვეთ ქუთაისის საგუბერნიო საარჩევნო კომისიას, თფილისის გუბერნიაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

2) უნდა მოაწყოთ დაუყონებლივ საარჩევნო კომისიები ყველა იმ პუნქტში, სადაც ყუთები იდგმება.

3) ყველა საარჩევნო კომისიაში უნდა გაგზავნოთ ჩვენი წარმომადგენელი.

4) ხარჯებს უნდა გაუძღვეთ როგორმე ადგილობრივ, ცენტრიდანაც დაგეხმარებით.

5) ყოველი ცნობები მიაწოდეთ საგუბერნიო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს.

6) აწარმოვეთ დაწვრილებითი ანგარიშები, რომელსაც წარმოუდგენთ ცენტრალურს კომისიას მუშაობის დასრულების შემდეგ.

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი.

———

პარტიულ ორგანიზაციათა მოვალეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში

1. ყველა ორგანიზაციამ და საარჩევნო კომისიების ყოველივე წევრმა უნდა შეიძინოს „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ ოფიციალური დამატება.

2. როდესაც შესდგება საქალაქო, ქალაქის საუბნო. სამაზრო, სოფლის საზოგადოების და სოფლის წვრილი საარჩევნო ერთეულების კომისიები, ორგანიზაციებმა უნდა წინასწარ მიიღონ ღონისძიებანი, რომ თავისი წარმომადგენელი იყოლიონ.

3. გარდა ასეთი წარმომადგენლობისა, როცა ჩვენი პარტიის საკანდიდატო სია იქნება წარდგენილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ზემოდხსენებულ კომისიებში უნდა გაჰგზავნონ თითო წარმომადგენელი პარტიისა.

4. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ უდიდესი ყურადღება, თუ სად იდგმება საარჩევნო ყუთები და არ გამორჩეთ არც ერთი ყუთი უწარმომადგენლოთ.

5. ორგანიზაციებმა უნდა დაავალოს თავის მიერ გაგზავნილ წარმომადგენლებს კომისიებში, რომ არ გამოსტოვონ კომისიის არც ერთი სხდომა, ერთი წუთითაც არ მოჰშორდნენ ყუთს არჩევნების წარმოების დროს, ყოველთვის აცნობონ პარტიულ ორგანიზაციას რა ხდება საარჩევნო კომისიებში, მოითხოვონ კომისიებში „დებულების“ სასტიკი დაცვა და ყოველივე დარღვევა დებულებისა შეიტანონ ოქმებში.

6. ჩვენმა წარმომადგენლებმა კომისიებში უნდა სასტიკი მეთვალყურეობა დაიჭირონ, რომ რაიმე მიზეზისა გამო არ დაბრკოლდეს ჩვენი საკანდიდატო სიების (საარჩევნო ბარათების) და კონვერტების დროზე დაგზავნა და გამოქვეყნება ყველა არსებულ საარჩევნო კომისიებისთვის და ამომრჩეველებისთვის.

7. ორგანიზაციებმა უნდა თვალყური ადევნონ, რომ ადმინისტრაცია არ ჩაერიოს არჩევნების წარმოებაში, არავითარი ძალმომრეობა არ მოახდინოს ან დაშინება ამომრჩეველისა. ყოველივე ასეთი შემთხვევა უნდა აცნობოს სათანადო საარჩევნო კომისიას და პარტიულ ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტს.

8. ყოველმა ორგანიზაციამ უნდა შეჰქმნას საგანგებო საარჩევნო პარტიული კომისიები: საქალაქო, სამაზრო, სოფლის საზოგადოების და წვრილი სასოფლო ერთეულებისა,

9. ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში გარდა ზემოდ ჩამოთვლილ პარტიულ საარჩევნო კომისიისა უნდა იყოს საგუბერნიო და საოლქო კომისიები.

10. პარტიულ საარჩევნო კომისიებს ევალებით: თავის სამოქმედო რაიონში არ გამოსტოვონ არც ერთი ამხანაგი, რომ ამომრჩეველთა სიაში არ იყოს შეტანილი და ამრიგად არ დაჰკარგოს ხმის უფლება, დაარიგონ და გაავრცელონ მოწოდებანი, პლაკატები, საარჩევნო ბარათები, ბროშურები. გამართონ პარტიული კრებები და საჯარო მიტინგები პარტიის ლოზუნგების ხალხში გასატანად. შეჰქმნან პროპაგანდისტების კადრი და დაჰგზავნონ ყველა საარჩევნო რაიონებში.

11. ქუთაისის საგუბერნიო, სოხუმის საოლქო და თფილისის გუბერნიის სამაზრო საარჩევნო კომისიებს ევალებათ მჭიდრო კავშირი დაიჭირონ თავის მოქმედების დროს პარტიის ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტთან და აგრედვე თავის რაიონში მოქმედ სხვა კომიტეტებთან ყოველივე საჭიროება ან და ნაკლი საარჩევნო მუშაობისა სასწრაფოდ უნდა აცნობონ საცა ჯერ არი.

12. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ენერგიული ზომები პარტიულ საარჩევნო კომისიებისთვის საჭირო თანხის შესაძენად შეადგინონ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა და აცნობონ ცენტრალურ კომიტეტს.

13. ორგანიზაციებს არ უნდა გმაორჩეთ არც ერთი პარტიული ძალა გამოუყენებლივ,

საქართველოს ეროვნულ პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

———

პარტიულ ახალგაზრდობას.

საარჩევნო კომპანია დაიწყო.

არჩევნების შედეგი ჩვენს მუშაობაზედ არის დამყარებული.

ეროვნულ პარტიის ახალგაზდობა უნდა ამოქმედდეს მთელი თავისი ენერგიით.

ყოველი პარტიის წევრი და თანამოაზრე უნდა გამოცხადდეს პარტიულ კომიტეტებში და მიიღოს სათანადო დავალება.

თფილისში მყოფნი უნდა გამოცხადდნენ მთავარი კომიტეტის ბინაზე, სადაც იმყოფება ცენტრალური საარჩევნო კომიტეტები და ჩაებან საარჩევნო მუშაობაში.

ყოველი კაცის გარჯა დიდ ნაყოფს გამოიღებს!

ეხლა გულგრილობა ღალატია პარტიისა და სამშობლოსი, ყველა ფეხზე დგეთ და არც ერთი ხმა არ დაეკარგოთ პარტიას. ჩვენ გვაკლია მომუშავე ძალები, თქვენ ქალებო, სტუდენტებო, მოწაფეებო, ახალგაზრდებო ყველა, ვისაც სურს, რომ დამფუძნებელ კრებაზე გაისმოდეს ეროვნული პოლიტიკის ძალუმი ხმა, მოდით მუშაობის გასანაწილებლად.

არჩევნების გარშემო

ადმინისტრაცია და არჩევნები.

დამფუძნებელ კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ იმ ამომრჩეველთ, რომელთაც საადმინისტრაციო თანამდებობის ალაგები უკავიათ, მომავალ არჩევნებში არ შეეძლოთ გამოსვლა, როგორც ადმინისტრატიულ პირთ, ერთი თუ მეორე პარტიის ინტერესების დასაცველად. ამასთან დადგენილია მიმართოს შინაგან საქმეთა მინისტრს თხოვნით, გამოსცეს ამის შესახებ სათანადო ბრძანება და ყველა ადმინისტრატიული პირნი, ვინც დაარღვევს ამ განკარგულებას გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან და მიეცეს სასამართლოში.

დამფუძნებელ კრების არჩევნები.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უფლება მიანიჭა პარტიებს მათი ბიულეტენების მიღებისა და დარიგებისა მაზრაში. ნაწილი ბიულეტენებისა, კანონის ძალით, ყველა ყუთებთან უნდა დარჩეს. დანარჩენი ბიულეტენები უნდა თვით დაარიგონ პარტიებმა, ანუ თუ მათ ამაზე უარი განაცხადეს და ბიულეტენების მიღების შემდეგ ერთი დღის განმავლობაში არ წაიღეს სამაზრო, ანუ საქალაქო კომისიიდან, სამაზრო კომისია თვითონვე უგზავნის ბიულეტენებს სასოფლო კომისიებს. უკანასკნელნი კი დაუყონებლივ ურიგებენ ამომრჩეველთ იმ პარტიების ბიულეტენებს, რომელთაც თვითონ არ უკისრიათ დარიგება.

პარტიებს უფლება აქვთ სამაზრო კომისიიდან ბიულეტენების ერთი ნაწილი გაიტანონ მაზრის ამა თუ იმ რაიონისთვის. ამ რაიონში უკვე კომისიები პარტიის ბიულეტენებს აღარ დაარიგებენ.

საქართველოს ეროვნული პარტიის სამაზრო ორგანიზაციებს ევალებთ სამაზრო კომისიიდან ბიულეტენის გატანა იმ რაიონებისთვის, სადაც სამაზრო კომისიას საიმედო პირები ყავს აჩენილი, ბიულეტენების დასარიგებლად სადაც პარტიას ასეთი პირები არ ყავს, იქ თვით სასოფლო საარჩევნო კომისიებმა უნდა დაურიგოს ყველა ამომრჩეველს ჩვენი პარტიის ბიულეტენები.

რა უნდა იცოდეს ყოველმა ამომრჩეველმა

(ამონაწერი დამფუძნებელი კრების არჩევნების კანონიდან).

საარჩევნო ბარათების მიცემა და დათვლა

53. ხმის მიცემა სწარმოებს საარჩევნო ბარათებით.

54. საარჩევნო ბარათები გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს.

55. თვითეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას; ამ სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, არც ერთი კანდიდატის მეორის ადგილზე გადატანა. ბარათს უნდა ჰქონდეს ნუმერი საკანდიდატო სიისა და სახელწოდება ამ სიის წარმომადგენელი ორგანიზაციისა, თუ მას ორგანიზაციის სახელი აქვს დართული.

56. კანვერტები საარჩევნო ბარათებისთვის უნდა იყოს ერთნაირი, არაგამჭვირვალი სუფთა და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალურ საარჩევნო კომისიისა.

57. საარჩევნო ბარათები და კონვერტები მზადდება ცენტრალურ საარჩევნო კომისიის განკარგულებით.

ყველა წარმოდგენილი საკანდიდატო სიებისთვის მზადდება თანასწორი რაოდენობა საარჩევნო ბარათებისა.

59. ბარათები და კონვერტები დამზადებისთანავე დაეგზავნება ცენტრალური კომისიის განკარგულებით მთავარ საქალაქო, სამაზრო და საოლქო კომისიებს.

61. მთავარი საქალაქო და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თვითეულ ამომრჩეველს არა უგვიანეს ორი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო ცალი საარჩევნო ბარათი ყოველ გამოცხადებულ საკანდიდატო სიისა და სახელობითი მოწმობა ქალაქის ამომრჩეველებს.

იმას ვისაც უფლება აქვს მიიღოს სახელობითი მოწმობა და საარჩევნო ბარათები, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია, მიეცემა: მოწმობა—ქალაქის მთავარ კომისიაში არჩევნების დღემდე, საარჩევნო ბარათები კი ქალაქის საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღის.

62. საქალაქო და სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისიები ამზადებენ პირამოჭრილ საარჩევნო ყუთებს, საარჩევნო ბარათების ჩასაშვებად და უგზავნიან მათ მცირე საარჩევნო ერთეულებს.

64. თვითეულ საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ერთი, ან რამდენიმე მოფარებული ადგილი, რომ ამომრჩეველს, არჩევნების საიდუმლოების დაურღვევლად შეეძლოს ჩასდოს კონვერტში საარჩევნო ბარათი.

67. საარჩევნო შენობაში არ შეიშვებიან: 1) შეიარაღებულნი და 2) ისინი. ვისაც ცხადათ ეტყობა, რომ მთვრალია.

68. თავჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით, თანახმად კომისიის დადგენილებისა, მოსთხოვოს სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებას გამოუგზავნონ მილიციელები, ან ჯარისკაცები.

მილიციელები და ჯარისკაცები სავსებით ემორჩილებიან თავჯდომარეს და იმყოფებიან მხოლოდ მის განკარგულებაში.

69. თუ წეს-რიგი დაირღვა. ან თუ ვინმე კომისიის ან მისი თავმჯდომარის განკარგულებას არ დაემორჩილა, კომისიას შეუძლია დაადგინოს შეიყვანოს მილიციელები და ჯარისკაცები შენობაში სადაც არჩევნები სწარმოებს. თუ თავმჯდომარის მოთხოვნა არაა, ასე საარჩევნო შენობაში არავითარი შეიარაღებული ძალის შეყვანა არ შეიძლება.

71. საარჩევნო ბარათი ამომრჩეველმა თვითონ უნდა მიიტანოს და ჩააგდოს საარჩევნო ყუთში.

73. კონვერტს რომ მიიღებს ამომრჩეველი, მიდის მოფარებულ ადგილას და იქ ჩასდებს კონვერტში საარჩევნო ბარათს, დაბრუნდება საარჩევნო ყუთთან და გადასცემს დაბეჭდილ კონვერტს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მის თვალწინ ჩაგდებს კონვერტს ყუთში.

76. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებისამებრ დამზადებულ საარჩევნო ბარათებთან ერთად ნამდვილ ბარათებად ჩაითვლება ისინიც, რომელთა ტექსტი იმ ნაირიეა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საპატიო შემთხვევაში საარჩევნო ბარათების მაგიერ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს სუფთა ქაღალდზე ხელით დაწერილი ან დაბეჭდილი შესაფერისი ნომერი.

77. ნამდვილად არ ჩაითვლება: 1) საარჩევნო ბარათი, რომელიც არ შეეფერება მე-54, 55, 56 მუხლებს; 2) ბარათებს, რომელიც შეუვსებულია; 3) ბარათი, ხელმოწერილი ამომჩევლის მიერ, ან ისეთი, რომელზედაც წაშლილია რაიმე, ან ამოფხეკილი ან ზედ რაიმე გამოსაცნობი ნიშანი აზის, ან თუ ისეთ კონვერტში დევს, რომელთაც ასეთი ნიშნები აქვთ; 4) თუ კონვერტში ერთზე მეტია ბარათი და მათი შინაარსი ერთი და იგივე არაა; თუ ერთ კონვერტში რამდენიმე ერთისა და იმავე შინაარსის ბარათია, ყველა ერთ ბარათად ჩაითვლება.

არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვა.

93. ვინც თავის ნებით მოაძრობს, მოახევს, ზემოდან რასმე გადააფარებს ან შესცვლის საჯაროდ გამოფენილ საარჩევნო მოწოდებას, ცნობას ან სიას ამომრჩეველთა იმ ჯგუფებისას, რომელთაც საკანდიდატო სიები წარმოუდგენიათ, დაისჯება დატუსაღებით არა უმეტეს ერთის თვის ვადისა ან დაჯარიმებულ იქნება ფულით არა უმეტეს სამასი მანეთისა.

100. ვინც პიროვნებაზე ძალადობითა, დასჯელის (наказуемый) მუქარითა, მოტყუილებით, ძალაუფლების ბოროტად მოხმარებით ან ეკონომიურის დამოკიდებულების საშუალებით ხელს შეუშლის საარჩევნო უფლების მქონეს თავისუფლად განახორციელოს ეს უფლება, —დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

101. ვინც ძალადონის საშუალებით, მუქარით, უწესეობის მოხდენით, საარჩევნო სიების ან საარჩევნო ბარათების და ყუთების გაფუჭებით, ან საარჩევნო კომისიის წევრებზე ძალადობის ხმარებით ხელს შეუშლის არჩევნების წესიერად წარმოებას საარჩევნო კომისიის შენობაში,—დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით.

102. ვინც უწესოებით, დაშინებით ან მიმოსვლის საშუალების მოსპობით ხელს შეუშლის ამომრჩეველთა ნაწილს გიმოიყენოს საარჩევნო უფლება,—დასჯილ იქნება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

104. ვინც ამომრჩეველს გადაიბირებს დაპირებით მისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის პირადი ან ქონებრივის სარგებლობის მიცემით, რომ უკანასკნელმა არ მიიღოს მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში.—დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

ასეთივე სასჯელით დაისჯება ამომრჩეველი, რომელსაც მოუთხოვნია ან მიუღია პირადი რამ სარგებლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნუშნულის მიზნით.

100. ვინც განზრახ დაამახინჯებს ხმის მიცემის შედეგებს საარჩევნო ბარათების ჩამორთმევისა, დათვლისა ან გამოქვეყნების დროს, ან და განზრახ გააფუჭებს, ან მოიტაცებს მიცემულ საარჩევნო ბარათებს ან საარჩევნო წარმოებას, ან სიყალბით ჩაუმატებს საარჩევნო ბარათებს ან შეცვლის საარჩევნო წარმოებას, დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

ამ დანაშაულის ჩადენის შეცდაც დაისჯება.

108. ვინც, წინააღმდეგ კანონისა, გამოაშკარავებს ხმის მიცემის საიდუმლოებას დამფუძნებელ კრების არჩევნებში, —დაისჯება დატუსაღებით.

190. წევრი საარჩევნო კომისიისა ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც განზრახ დაარღვევს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებას იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინოს არჩევნების მსჯელობაზე ამა თუ იმ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ თუ საზიანოდ, თუ ამისთვის უფრო სასტიკი სასჯელი არ მოელის,—დაისჯება დატუსაღებით.

„კლდის“ ბიბლიოთეკა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა ნაწერები

გრიგოლ ვეშაპელ ს

„ნაც.-დემოკრატიული პარტია.“

დავით ვაჩნაძის

„მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია“

მიხეილ მაჩაბელ ს

„მიწის საკითხი“

შალვა ქარუმიძის

სამღვთო სჯულის სწავლეგის გაუქმება.

თითო წიგნის ფასი 15 შაური.

საქართველოს მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა კავშირის საგჯო.

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიათინსკის დაღმართი № ა. სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

ბათუმის ქართველთა

ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიებს ორივე სქესისთვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიაში თავიანთი შვილები მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები:

1. სქესი მოსწავლისა,
2. რაოდენობა და
3. რომელ კლასში სურს შესვლა.

სწავლის უფლება იქნება არა უმეტეს იმისა, რაიც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეიტანეს მეორე ნახევარი სწავლის ფულისა, ეს ფული დაუბრუნდებათ

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო.

თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 21 იანვრიდან საუბნო სასურსათო კომიტეტში დაიწყება იანვრის, თებერვლის და მარტის სასურსათო ბარათების დარიგება. ბარათები დაურიგდებათ მხოლოდ სარაიონო და ბინის კომიტეტებს, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინონ: 1) ახალი ბინის წიგნები, 2) ახალი ბინის სარეგისტრაციო უწყებანი ორ ფურცელზე გადაწერილი, რომლებიც უნდა შეამოწმონ საუბნო სასურსათო კომიტეტებმა, 3) ძველი სასურსათო ბარათები, 4) პიროვნების ვინაობის მოწმობები. მოწმობად ცნობილია: ა) პასპორტი, ბ) მეტრიკული ამოწერილობა, გ) მოწმობა მილიციის უფროსისაგან მოცემული, დ) მოწაფეთა ბილეთი, ე) მოწმობები სხვადასხვა ეროვნულ საბჭოებისაგან მოცემული, თუ უკანასკნელთ აქვთ საკონსულო დაწესებულებათა ხასიათი. სამკურნალოები, თავ-შესაფარი ბინები, პანსიონები და სხვა მაგვარი დაწესებულებანი მიიღებენ ბარათებს საბარათო განყოფილებაში.

(2—2) სასურსათო განყოფილება თფილისის ქალაქის **გამგეობისა.**

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ „სალი კლდე“-ზე.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი № 18—31. კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სასახლის ქ. № 5.

მეხილეთა ამხანაგობა „ქართლი“

ამით აცხადებს, რომ მის საწყობებიდან იყიდება დიდძალი ხილი **ვაგონოებით** და **ფუთოებით.**

როგორც კერძო პირთა, ისე დაწესებულებათათვის ფრიად ხელმისაწვდომ ფასებში.

იარმუკაში, მუხრანიანთ სახლი ამხ. „ქართლი“.

ქართველთა ამხანაგობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26. ტელეფონი 4—73.